-5
16/IX-65
37

წელიწადი 2-რე № 12 შაბათი 13 მაისი 1918 წ.

რედაქტორი პატო მიქელ ძე

გამომცემელი ინტერპარტიული ქალთა ლიგა.

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან
კანცელარია ღიაა დილის 9 საათ. 2 საათამდე, საღ. 5 ს.—8 საათამდე. ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს. რედაქციის მისამართი ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12 სახლი ჭეიშვილისა შესასვლელი ჭიშკრიდან ეზოში

ფასი 25 კ. ყოველ კვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი ფასი 25 კ.

თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!

ქუთაისი 13 მაისი

მთავრობის გაზეთი „ერთობა“ მართალია ისეთი სამხედრო რიხით აღარ ლაპარაკობს დღეს ომის გაჩაღებაზე, როგორც ამას ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დროს გვიცხადებდა, მაგრამ არც დღეს უარყოფს მთლად მის შესაძლებლობას. „საზავო მოლაპარაკება და დროებით საომარ მოქმედების შეჩერება კიდევ არ ნიშნავს ზავის ჩამოგდებას, ომის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ გამქრალა და ჩვენ მოვალენი ვართ ამ გარემოებას შესაფერი ყურადღებით მოვეპყრათ.“ (იხ. გაზეთ. „ერთობა“ № 92)

მთავრობის გაზეთი, რომ შესაფერი ყურადღებით ექცეოდეს ზავის საკითხს ასეთი სიტყვებითაც არ დაიწყებდა ის საუბარს უკანასკნელ განახლებულ საზავო მოლაპარაკების დროს. მით უმეტეს გასაკვირია როცა გაზეთი „ერთობა“ ამას სწერს იმ დროს როცა ქართველ დელეგატებს მოლაპარაკება ოსმალეთის დელეგატებთან აქვთ და მთელ იმედს კი ამყარებს გერმანელ დელეგაციაზე. „ოსმალეთის დელეგატებთან ერთად გერმანიის წარმომადგენელნი მოსულან და უკანასკნელნიც მონაწილეობას მიიღებენ საზავო თათბირში. გერმანიის საზავო დელეგაციის წარმომადგენელნი გაცილებით მეტ როლს ითამაშებენ, ვიდრე ენვერ-ფაშას აგენტები. ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს რომ ამიერ კავკასიის საკითხი ოსმალეთსა და ჩვენ შორის გადაწყდება მსოფლიო პოლიტიკის ინტერესების მიხედვით. ასე რომ უკანასკნელი სიტყვა გერმანიას ეკუთვნის,“ გვიცხადებს „ერთობა.“ თუმცა ჩვენ ქართველი ქალები დიპლომატიურ საკითხში არასოდეს არ გავრეულვართ მას შემდეგ რაც საქართველომ თავისებურობა დაკარგა. და მოსალოდნელი იყო რომ ჩვენი ძმები უფრო მეტი გამჭრიახობით და ტაქტიკით გარდახედავდენ მას. ჩვენ კი ჩვენი გამოუცდელი თვალსაზრით სულ წინააღმდეგსა ვხედავთ გაზეთ „ერთობის“ ფურცელზე. ჯერ ერთი საინტერესოა ვიცოდეთ თუ რა განსხვავებას ხედავს „პროლეტარის“ ბედზე მოამაგე გაზეთი გერმანელ იმპერიალისტებსა და ოსმალეთის იმპერიალისტებს შუა და რა ხნეობრივი განსხვავებაა ენვერ-ფაშასა და ფონ-ლოსოვის შორის როცა უკანასკნელის საზავო თათბირში ჩარევას მსოფლიო პოლიტიკის ხასიათს აძლევს. ნუ თუ დღევანდელმა მსოფლიო ომმა არ დაანახვა გაზეთ „ერთობას“ რომ მსოფლიო პოლიტიკის საკითხი ერთი რომელიმე მეომარ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩარევით ვერ გადასწყდება? ასეთი ქათინაურებით გერმანელ იმპერიალისტებისადმი ქართველი მენშევიკები ვერც მსოფლიო პროლეტარიატს მოიმადლიერებენ და ვერც საზავო თათბირს მისცემენ სასურველ შედეგს. შეიძლება გაზეთს ეს ევროპიელთა სიყვარულით მოსდიოდეს. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს თუ არა, რომ ევროპიელთა გასაღლეტათ გერმანიის იმპერიალისტები 40 წლის განმავლობაში აზიელებთან ერთად ემზადებოდენ. და ენვერ-ფაშებისა და ფონ-ლოსოვების მეგობრობას პირველის ლანძღვით ვერ დაარღვევენ სასარგებლოთ ამიერ კავკასიის პროლეტარიატისა.

კ. მ.

წერილი მესამე.

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ, თუ რას მოითხოვდენ ისტორიულად მამაკაცები დედრობითი სქესიდან, როგორ ზნეობრივსა და ასთეტიკურ ბადეში იჭერდენ ქალთა სულიერ მხარეს, როგორ დახშული იყო მათთვის ყველა კარები ცხოვრებისა, გარდა სამზარეულოსა და საბავშო ოთახისა.*)

აგრეთვე ისეც, თუ რამდენათ შეუსაბამო და მიუღებელია ქალებისათვის ის გზა რომელიც თანამედროვე მამაკაცებმა აირჩიეს სოციალური უსამართლობის მოსასპობლად. ქალებმა შესძლეს გარღვევა მათ წინ ამართულ ზღუდისა ისინი გამოვიდენ კარჩაკეტილ ცხოვრებიდან და დღეს არ არსებობს არც ერთი დარგი საწარმოვო შრომისა, სადაც ისენი მამაკაცებს კონკურენციას არ უწევდენ მიუხედავათ სასტიკი დევნისა. მხოლოდ დღემდე ქალებმა განსაკუთრებით ჩვენს კუთხეულ საქართველოში ვერ შესძლეს თავიანთი მეს შესაბამი ახალი გზის ამორჩევა, დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმა, როგორც თვით განსათავისუფლებლად, ისე საზოგადო ცხოვრების უკულმართობასთან საბრძოლველად. დღეს, მხოლოდ დღესა სდგამს ქართველი ქალი ამ ნაბიჯს, სადაც ის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიის მამაკაცებიდან მრავალს წინააღმდეგობას ეჯახება.

ამ საქართველოს „ამშენებელ“ ბატონებს ერთობ აფრთხობთ ის წარმოდგენა, რომ ქართველი ქალები, რომელნიც ყოველ დროს და ყოველ შემთხვევაში მათი საჩანჩალო იყო, რომლის შრომას არას ოდეს არ ხედავდენ და არც აღნიშნავდენ დღეს კრიტიკულად აზროვნებას შესდგომია და მოითხოვს საკუთარი თვალით და ჭკუით შეფასებას ყველა იმ ღირებულებისას რაც დღემდე მარტო ერთ მამაკაცების თვალთახედვას შეუფასებია. ისტორიულად ბრძანებლობას მიჩვეული სქესისათვის ადვილი არ არის კრიტიკისა და წინააღმდეგობის მოსმენა, ამოსათვის გასაკვირიც არ არის რომ ესენი ეწინააღმდეგებოდენ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციის შემქნას. ის რაც დიდი ხანია მომწიფებულია მთელს ევროპაში, ის საქართველოში ჩვენი სოციალისტებისათვის სადაო საგნათ ქცეულა თვით უდიდეს ისტორიულ გადატრიალების დროსაც კი. მრავალი მათგანი გაიძახის რომ ქალი უნდა იყოს იდეიური თანამგზავრი მამაკაცისა და ამისთვის ქალის დამოუკიდებელი მოქმედება მათ თვალში, როგორც ზედმეტად, ისე მიზან შეუწონელათ მიჩნეულია. მათ სრულიათ ავიწყდებათ, ის რომ ჩვენ ქალებს მაშინ შეგვეძლო მამაკაცების იდეური თანამგზავრობა, რომ დაგვენახა მათი ზნეობრივი მოწოდება. ნამდვილად კი ზნეობრივი მხრივ მამრობითი სქეს, იმდენათ ცოტა წაუწევიათ წინ და იმდენათ ცოტათ თავს იტკივებენ ამ საგანზე, რომ ქალებმაც გავყვეთ მათ და არ გამოვიჩინოთ საკუთარი თვალთ-აზრისი ამდენს მათ მიერ დათესილ უკულმართობას ერთს ძირსაც ვერ ამოუგდებთ.

არსებული უსამართლობასთან საბრძოლველად საჭირო ქალებისათვის არა მამაკაცების კუდში დევნა, არამედ თავიანთი ინდივიდუალურობის განვითარება, რომ პოულობდნენ სულიერ კმაყოფილებას თავიანთი პიროვნული სიმაღლით, რათა ორთავე სქესის აზროვნებისა და აქტიურობის განვითარებით შესაძლო იყოს იმ სიცალიერეს აღმოვსება, რომელიც ერთი სქესის გონებრივმა და სულიერმა უმოქმედობამ წარმოშვა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მამაკაცების ზოოლოგიური ბრძოლით გატლანქებული გულის გალმობიერება და სულიერი გასპეტაკება. და როდესაც ჩვენ უფლებისათვის მებრძოლი ქალები მოვითხოვთ პიროვნულსა და მოქალაქეურ თავისუფლებას და ვებრძვით ქალთა ადამიანური უფლების მტრებს, ჩვენ ვებრძვით არა ადამიანს მამაკაცის სახით არამედ იმ ტრადიციულ უსამართლობას, რომელიც მამაკაცთა უმრავლესობას შეუთვისებია და რომელსაც მიყავს ერის ნახევარი ნაწილი გონებრივ და სულიერ გამოფიტულობამდე.

რომ მართალი იყოს დებულება ისტორიული მატერიალიზმისა და მართლაც „მდგომარეობა ქმნიდეს შეგნებას“ გასაკვირლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქალები მთლად გამოჩერჩეტებული არ არიან იმ მდგომარეობით, რომელშიაც ისინი ისტორიულად ჩააყენა მამაკაცების მთავრობამ და სამართალმა.

ჩვენ არ გვსურს ამ დუხჭირ მდგომარეობაში კვლავ დარჩენა და რაც არ უნდა მოხდეს თავი უნდა განვითავისუფლოთ მისგან.

ჩვენ მოვითხოვთ სამართალს და არა შურის ძიებას და ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირია თითეული პატიოსანი და სამართლიანი მამაკაცის გაგება და თანაგრძნობა და არა იმის ყიჟინი, ვითომ სუფრაჟისტ ქალებს მამაკაცები გვძულდეს და მათგან გათიშვას მოვითხოვდეთ, როგორც ამას გაიძახიან ანტისუფრაჟისტების ამყოლი ბრბო. სუფრაჟისტ ქალებში არსებობენ მრავალი დედები, ცოლები, შვილები და დები მამაკაცებისა, რომელთ გულშიაც ბუდობს უკეთესი გრძნობა სურვილები უკანასკნელ თადმი, მაგრამ რომელთაც ამავე დროს

*) იხ. გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“ № 9 და 10.

არ ავიწყდებათ თავიანთი ადამიანური პიროვნებაც და მოითხოვენ მისთვის შესაფერ უფლებასაც.

გაიძვერული ტაქტიკა მოწინააღმდეგეს დასამარცხებლად მოითხოვს მისგან წაროს მას ის ნაკლი, რაც თავის გულში ეგულება უპატიოსნო მტერს. სუფრაჟის ქალებს მიუხედავათ მათი თავგანწირული ბრძოლისა არასოდეს არ ულაპარაკნიათ და არ უწერიათ იმ შხამიანი, ბილწი ენით რომელიც მოგვესმენია ანტი-სუფრაჟისტ მამაკაცთა ენიდან და კალმიდან შესახებ ქალებისა.

ჩვენ ვიცით რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება წვენი უფლების მტერთა, რომ მათმა ცილის წამებამ შეგვაკრთოს, რასთვისაც დაჟინებით მოვითხოვთ [illegible] ლთა კავშირის სიძლიერესა და სი[illegible] ქალთა თვით მოქმედებისა და აქტიურობის აღსადგენათ.

კ. მ.

* * *

ვუძღვნი № 6-ს.

ოცნებამ შობა ზღაპრული გმირი
ვერ შევიყვარე ცოცხალი ლეში.
მე მას დავეძებ ველი, მწირი,
და ვერ ვიპოვნე სინამდვილეში.

ზე—კაცს ვეძახი... ლაჩართა გუნდში
ვერ ავარჩიე სწორი სულისა,
ოცნებამ შობა გრძნობის ნუგეში
და გაჩნდა ცრემლი სიყვარულისა.

სულს ბრჭყალებს უჭერს სევდისა რგოლნი,
გულს ბნელი ფიქრის ამძიმებს ლოდი...
ჰო რომ მეპოვნა აქ აპოლონი,
მეც აფროდიტად გარდვიქცეოდი.

დღეს-კი ვინა ვარ?. აჩრდილი მკრთალი,
დღეს კი რაღა ვარ? ნატეხი ქარვის!
და რომ მიწოდონ მხევალი. ქალი,
ამის უფლებას არ მივცემ არვის.

ოცნებამ შობა ზღაპრული გმირი
ვერ შევიყვარე ცოცხალი ლეში.
მე მას დავეძებ, ვეძახი, ვტირი,
და ვერ ვიპოვნე სინამდვილეში.

სატო მგელაძე

ჟურნალ-გაზეთებიდგან

6 მაის. (ახალი სტილით) საგანგებო მატარებლით ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა საზავო დელეგაცია დელეგაციის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, წევრნი: ნ. ნიკოლაძე, მამედ ჰასან გაჯინსკი, რ. ქაჯაზნუნი, ა. ხატისოვი, რასულ-ზადე წარმომადგენელნი უწყებისა და მრჩევლები: გენერალი ოდიშელიძე, პოლკოვნიკი ყორგანოვი, პროფესორები ღამბაროვი და ზურაბ ავალიშვილი. ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები ჟურული და ქიქოძე.

ბათომში ჩამოვიდა ოსმალეთისა და გერმანიის საზავო დელეგაციები. გერმანიის საზავო დელეგაციას თავმჯდომარეობს ფონ-ლოსოვი დელეგაციის წევრად შედის სხვათაშორ[illegible] თბილისში გერმანიის კონსულად ნამყოფი შულინბურგი.

ინგლისელების აზრი ამიერ კავკასიის დამოუკიდებულობის შესახებ.

ტფილისში მყოფნი ინგლისის წარმომადგენელნი ამიერ კავკასიის დამოუკიდებულობის შესახებ აცხადებენ: სანამ გამორკვეული არ არის რა საფუძველზე ჰკრავს ზავს ამიერ კავკასია, ინგლისი უექველია დამოუკიდებულობის გამოცხადებას თავის საწინააღმდეგო მოვლენად არ ჩასთვლის„.ო

გენ. ოდიშელიძის გამოსვლა სამსახურიდან.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი ოდიშელიძემ სამსახურს თავი დაანება. მის ადგილზე დანიშნულია პოლკ. კვინიტაძე, რომელსაც ეხლა გენერალ მაიორის ჩინი მიანიჭეს.

დახმარება

ამიერ კავკასიის გამოქცეულთათვის საქველმოქმედო მინისტრმა 15000,000 მანეთი გამოუშვა,

ომი

ანგლო-ფრანგები ადგილ ადგილ წინ მიიწევენ მესაპოტამიაში ინგლისელებს იერიში მოაქვთ.

ამიერ კავკასიის ბონები.

გამოიცა კანონი, რომლითაც ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს გამოსცეს დამატებით 200 მილიონი მანეთის ბონები.

ს. ბახვი

რადგან ოზურგეთი[illegible] [illegible]კავების შემდეგ [illegible] დიდი ყოველგვარი კორესპონდენტების გაგზავნა შეიძლება Нагамари Бахви.

ახალი ამბავი

✖ ხონში ელიან ბოლშევიკების გამოსვლას გაიგზავნა 500 კაცისგან შემდგარი რაზმი.

✖ როგორც გადმოგვცემენ სოხუმის ბოლშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში დიდი მზადება არის. კოდორში გამაგრებულ აფხაზების რაზმს ემატება ყოველ დღე ახალი ძალები. მათ მისაშველებლათ მიდის ორი გზით დიდი რაზმი. ამ დღეებში სოხუმის ბედი გადაწყდება.

✖ **ბუდუ მდივანი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბოლშევიკი ბუდუ მდივანი ქუთაისის ციხიდან გადაყვანილი იქმნა თბილისში.

✖ **სიმინდის თავისუფლად გაყიდვის შესახებ.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ნებართვით გუბერნიაში სიმინდის ყიდვა დიდი პარტიობით შეუძლიათ საზოგადოების წარმომადგენელს, კოოპერატივებს და სხვა სასურსათო ორგანიზაციებს.

თეთრი მონა.

სირცხვილი მე 20—ცე საუკუნისა

(ელისაბედ შოენისა.)

I

ქროდა ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი. თოვლი ფართო ნაჭრებით დაცვენილი მთელს ქალაქს თეთრს [illegible] ხვევდა. გამჭოლილნი საყელოების მაღლა აწევით სიცივისაგან კანკალებდენ და მიეშურებოდენ თავიანთ ბინისაკენ. პატარა სადგურში დიდი მრავალ სართულიანი სახლისა კოპენჰაგენის ნაპირზე სითბო და მყუდროება სუფევდა.

— დახედეთ მამა! წარმოსთქვა ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელიც სარწევ სკამზე იჯდა აპრიალებულ ბუხრის წინ გაზეთით ხელში,—აქ არის სადაც საჭიროა ჩემთვის. და შეუდგა კითხვას: „ოჯახი, რომელიც ცხოვრობს ბელგიაში იწვევს კომპანიონკას თავის ქალიშვილებთან ახალგაზრდა ქალიშვილს მოლაპარაკეს ინგლისურად და გერმანულად. გარდა ენის ცოდნისა მოითხოვენ საამურს გარეგნობას და თავაზიან ქცევას. საქმე ცოტაა, ჯილდო კარგი. მომართვა შეიძლება „პარიზ—“ის სასტუმროში ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე.

— ჰო როგორ მინდოდა ამ ადგილის შოვნა, —სთქვა ალმამ (აგრე ეძახდენ ახალგაზრდა ქალიშვილს) და გაუწოდა მამას განცხადება გაზეთისა.

— შენ მართალი, ხარ ჩემო შვილო! წარმოსთქვა კაპიტანმა ბანგმა და დახედა გაზეთს. ადგილი მართლაც რომ კარგია. პატარა შრომა და კარგი ჯამაგირი. ჩვეულებრივ კი წინააღმდეგი ხდება. ამასთან ახალგაზრდა ქალიშვილებთან დროს გატარება ადვილი შრომაა. და რადგან შენ ყოველთვის ირჩეოდი შენი ნიჭით ენების შესწავლაში მე არ ვხედავ მიზეზს რასთვისაც შენ უარი უნდა მიიღო ამ ადგილზე.

— ამასთან უცხოეთ ოჯახში ცხოვრება! წარმოსთქვა ალმამ.

ოთახში შემოვიდა ალმას დედა. 40 წლის ქალი ფერმკრთალი სახით ოქროს ფერი თმით და მშვენიერი ცისფერი თვალებით.

ქმარმა აჩვენა მას განცხადება და თანაც დაუმატა რომ ეს ხალხი როგორც ეტყობა მდიდარია, რადგან ისინი ცხოვრობენ ისეთ ძვირფასიან სასტუმროში, როგორც „პარიზი“

— ხვალ დილითვე წავალ იქ მხიარული ღიმილით წარმოსთქვა ალმამ.

ქ—ნი ბანგი შორს იდგა ისეთ აღტაცებასთან, რომელსაც მისი ქმარი და ქალიშვილი განიცდიდა.

— ძვირფასო ბავშო, რათ გეჩქარება ჩვენი დატოვება? აქ შენ ყოველთვის გამოთქვამდი სურვილს ქალაქში გაკვეთილების მიცემისას.

— რასაკვირველია, მე ვფიქრობდი მიმეღო ადგილი სკოლის მასწავლებლისა ან კერძო გაკვეთილები. მაგრამ განა შენ არ იცი თუ რა ფასი აქვს ამ ადგილებს? 200 კრონი წელიწადში,— თითქმის შიმშილი!

— დიახ, —წარმოსთქვა კაპიტანმა, -საზღვარ გარეთ ცოდნა ფასდება გაცილებით უკეთ ვიდრე ჩვენში.

— სოფიო ბარტოლდი და რომელიც შევიდა ერთს ოჯახში აღმზრდელად ავსტრიაში 1000 კრონს ღებულობს წელიწადში და მთელი შეძლება შეაგროვა.

— მე კი ვირჩევდი შენს სახლში დატოვებას, უპასუხა ქალ-ბმა ბანგმა,- შენი დები ჯერ ისეთი პატარები არიან, რომ მათვის საჭიროა შენი დახმარება.

— ეს იქნებოდა უგნურობა რომ ვაიძულოთ ალმა დახარჯოს თავის უკეთესი წლოვანება მისთვის, რომ იშროմოს აქ სახლში სრულიად უსარგებლოთ თავის თავისთვის.

რაიმე მიზნისათვის გაუთავებია თუ არა მას სამასწავლებლო სემინარია? ასეთი ეგოისტები ჩვენ არ უნდა ვიქნეთ ჩვენი ბავშის მიმართ. წარმოსთქვა კაპიტანმა.

— მე ვერასოდეს ვერ მოვისვენებ იმ აზრით, რომ ჩემი ქალიშვილი სცხოვრობს სადმე შორს. ახალგაზრდა ქალი მრავალ საშიშროებას ხვდება ოჯახის გარეთ.

— სისულელეა. ვისაც სურს დაისწავლოს ცურვა უნდა იქონიოს სიმამაცეც წყალთან ბრძოლისა. და ბოლოს, არსებობს მგონი რაიმესათვის ფოსტა და რკინის გზა! მაგას შეეძლება მოწერა და თუ არ მოეწონება,—უკანვე სახლში დაბრუნებაც.

მეორე დღეს ალმა თავისი მამით სამსახურიდან გამოსულ მეზღვაურ კაპიტანით გაემგზავრენ განცხადების თანახმათ სასტუმრო „პარიზისაკენ“. მე 13 №-რის კარებთან რომელშიაც ცხოვრობდა უცხოელი ქალი ქ-ნი დავრილი იდგა უზარმაზარი ტანის ზანგი წითელი ჟილეტით და შავი ფრაკით. უკანასკნელმა გამოართვა სადარბაზო სურათი კაპიტანს და გასწია თავის ქალბატონისაკენ. გამოუშვა რა ოთახიდან ორი ახალგაზრდა ქალიშვილი მან შეიყვანა ალმა და კაპიტანი ბანგი მშვენიერს სასტუმრო ოთახში სადაც მათ დაუხვდა საპატიო მანდილოსანი ჰქონდა იმით, გამოწყობილი შავი ატლასის კაბაში ძვირფასი არშიებით და ბრილიანტებით გაჭედილი თითებით და ყურებით. არ ითქმება რომ ქ-ნ დავრილს თავის მოწითლო ცხვირით და გამქცევი მწვანის ფერ თვალებით და თხელი შეღებული ტუჩებით კარგი შთაბეჭდილობა მოეხდინა ალმაზე. მაგრამ დიასახლისი სასტუმრო ოთახისა ისეთი თავაზიანი, ისეთი ალერსით იღიმებოდა, რომ პირველი შთაბეჭდილობა უცებ გაქრა.

ქ—ნ. დავრილმა აუწყა მათ, რომ ის არის პეტერბურგიდან მგზავრად ჩამოსული რომ მისი გათხოვილი და გრაფინია ლევინა, რომელიც

✖ **კართოფილი.** ქალაქის სასურსათო გამგეობამ ბორჯომის ხეობიდან მიიღო 3 ვაგონი კარგი ლირსების კარტოფილი. ფუთი იყიდება 16 მანეთად და 10 შაურად, რაც მომხმარებელთ შეუძლიათ შეიძინონ: 1) ქალაქის სასურსათო გამგეობაში და 2) ძველი თბილისის ქუჩაზე—ქალაქის სასურსათო გამგეობის დუქანში. გამრეკლიძის სახლი.

10 მაის მოხდა ქალაქის გამგეობის კრება, რომელზედაც დაადგინეს: წინადადება მიეცეს ქალაქის ყველა დაწესებულებებს რომ დაუყონებლივ შეგმოიღონ საქმეების ქართულად წარმოება.

— გერმანელ ავსტრიელ ტყვეების გასაგზავნად ტრანზიზონიდან გემი დაიბარეს გერმანიიდან ქართველ ტყვეების ერთი ჯგუფი სამშობლოში ბრუნდება.

✖ **დადგენილება.** საგუბერნიო გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს ქალაქის საბჭოს, რათა ქალაქის სასურსათო კომიტეტის საქმეები თვითმართველობამ მიიღოს

✦ **თბილისის სახაზინო თეატრი.** როგორც გადმოგვცენ თბილისის **სახაზინო** თეატრი გადადის **ქართველების** **განკარგულებაში.**

ცხოვრობს ბრუსელში ოხოვს მას გარჯას თავისი ბავშვებისათვის ალმზრდელის ჩამოსაყვანათ, ამ ქვეყნიდან, რადგან სკანდინავიის მასწავლებელი ქალები განთქმულნი არიან თავიანთი საფუძვლიანი მომზადებით და კეთილ სინიდისიერებით.

— მაშ აგრე თქვენი სურვილია რომ მიიღოთ ეს ადგილი? მიუბრუნდა ის ალმას.

— დიახ,—უპასუხა ალმამ—მე ეხლა ხან ჩავაბარე ეგზამენი გერმანული ფრანგული და ინგლისური ენებისა. აი ჩემი ატესტატიც.

— ეს ზედმეტია მიუგო ქ—ნმა დავრილმა

— როცა ბევრს მოგზაურობენ, ეჩვევიან პირველ შეხვედრისთანავე ადამიანის ცნობას. თქვენ მე ერთობ მომეწონეთ. რამდენი წლისა ხართ?

— თვრამეტის.

— თქვენი მშობლები კიდევ ცოცხალია?

— დიახ, აი ჩემი მამაც კაპიტანი ბანგი.

— თქვენ ნებას აძლევთ თქვენს ქალიშვილს კაპიტანო, სამშობლოს დატოვებისას?

— დიახ, ჩვენ იძულებული ვართ ამაზე, მიუგო კაპიტანმა,—მე კიდევ ხუთი შვილი მყავს, რომელთაც სწირიათ ალბრდა და საშუალება კი ძრიელ შესლუდული. აქ მან უამბო მოკლე სიტყვით და გააცნო მას თავ

ბარკლაი დე-ტოლი და კუტუზოვი

2

ამ დღიდან თითოეული ნაბიჯი უკან დახევისა ბარკლაისათვის იყო ნაბიჯი გოლგოთისა. უცხოელი, მოლალატე, ლიჩარი არცხვენდენ გენიალურ სპასალარს. ბაგრატიონი გენერალ ერმოლოვს სწერდა: „არა ჩემო საყვარელო, მე ვემსახურები ჩემს ბუნებრივ ხელმწიფეს და არა ბონაპარტს. ჩვენ გაყიდულნი ვართ, მე ამას ვხედავ; ჩვენ მივყავართ დალუპისაკენ; მე არ შემიძლია გულგრილად ამის ცქერა. ჭეშმარიტათ ვიხვრჩვები შეურაცყოფით, შეწუხებით და გულის ხეთქით. თუ როგორმე აქედან დავიხსენი თავი, მაშინ არას ოდეს არ დავრჩები ჯარის კომანდირად და არც სამსახურში. გეფიცებით რომ მრცხვენია მუდირის ტარება. მე ავათ მხდის ეს მოფიქრება. და თუ მიიტანთ იერიშს პირველი არმიით მაშინ მე ემრთელდები. თორემ რა სისულელეა? მინისტრი თვით გარბის და მე მიბრძანებს დაცვას მთელი რუსეთისას... მე ლირსეულად გამოვალ სამსახურიდან და გავიარ სურთუკით, სამსახურები კი უცხოელ გაიძვერას ბრძანების ქვეშ არას ოდეს!“

სმოლენსკისთან უკან დახევის შემდეგ ბაგრატიონი სწერდა არაკჩევს: „მე თქვენ გეფიცებით პატიოსნებასა რომ ნაპოლეონი ისეთ ტომარში ჩაჯდებოდა როგორც არას ოდეს. ის დაკარგავდა თავის არმიის ნახევარს და სმოლენსკსკი ვერ აიღებდა. თქვენ სამხედრო მინისტრი შეიძლება კარგიც იყო სამინისტრო საქმეში, მაგრამ როგორც გენერალი არა თუ ცუდია არამედ წამხდარი და მან მიეცით ბედი მთელი სამშობლოსა.“ როცა ეგ ორი სპარსალარი ერთმანეთს ხვდებოდენ საქმე საძაგელ სცენამდე მოდიოდა.

„შენ გერმანელი ხარ, შენთვის რუსების ბედი არაფერს არ წარმოადგენს,“—დაუყვირა ბაგრატიონმა: “შენ კი სულელი ხარ და თვით არიცი რათ უწოდებ შენს თავს ნამდვილს რუსს,“ უპასუხა მას ბარკლაიმ.

მდგომარეობა სამხედრო მინისტრისა თანდათან მძიმდებოდა, დიადი პასუხის მგებლობა და საერთო პლანი კომპონიისა მოითხოვდა ბრძოლის თავიდან აცილებას. ხანდახან ბარკლაის ნების ყოფა თითქო სუსტდებოდა, და ის აკეთებდა მზადებას გენერალურ ბრძოლისათვის.

მაგალითად 10 აგვისტოს ის სწერდა გრაფ რასტოპჩინს მოსკოვში, „სმოლენსკიდან არმიის უკან დახევის შემდეგ დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენს ბედს ვენერალური ბრძოლა გადაწყვეტს და მაზე ვამყარებთ იმედს. ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ ეგ გარდამწყვეტი ზომა. სამშობლო შეიძლება განთავისუფლდეს საშიშროებიდან საერთო შეტაკებით, რომლის გამო მე თავად ბაგრატიონთან ერთად ავირჩიეთ პოზიცია ს. უსვიტიასთან.

ასეთი გარდაწყვეტილობა ბარკლაი დე- ტოლისა არ იყო ხანგრძლივი და ამავე დღეს შუადღისას მან აუწერ ალექსანდრე 1 ლს. რომ ბაგრა

სადგურზე იყოთ. მართლა, სიტყვაზე იქნება თქვენი სურათი გაქვთ? მე ძრიელ მსურს ის გაუგზავნო ჩემს დას.

— ალმას სულ ახლად გადაღებული ჰქონდა სურათი და შეპირდა რომ მას მეორე დღეს გამოუგზავნიდა. რის შემდეგ ისენი კმაყოფილნი ერთი მეორისა დაიშალნენ.

პარასკევს მშობლებმა გააცილეს ალმა სადგურზე, სადაც გარდასცეს ის ქ—ნ. დავრილს, რომელსაც ახლდა თავის მოსამსახურე ბანგი და ორი ახალგაზრდა ქალიშვილები რომელნიც ალმასა და კაპიტან ბანგს შეხვდათ „პარიზის“ სასტუმროში. ქ—ნ. ბანგმა შენიშნა ქმარს რომ მას არ მოსწონს სახე ქ—ნ. დავრილისა.

— არ შეიძლება ადამიანის გასჯა გარეგნული შეხედულობით—შენიშნა კაპიტანმა.—ამას გარდა ალმა ხომ არ იცხოვრებს მასთან, არამედ მის დასთან. ჩავა თუ არ ადგილზე ის ჩვენ მოგვწერს და თუ არ მოეწონება დაუყონებლივ დაბრუნდება სახლში.

(შემდეგი იქნება)

ვის ნივთიერი მდგომარეობა რომელიც შორს არ იყო სახარბიელო. ქ—ნ დავრილმა თავის მხრით აუწყა მას მოვალეობა, რომელსაც მოითხოვენ ალმასაგან დ შესდგება იმაში რომ მან გაატაროს დრო ორ ახალგაზრდა ქალიშვილებთან და შეასწავლოს მათ ინგლისური და გერმანული ენები. ალმას შეკითხვაზე მოითხოვენ თუ არ მისგან რომ ის ძვირფასად გამოეწყოს, ქ—ნმა დავრილმა საჩქაროთ უპასუხა, რომ შეუძლია გაემგზავროს იმავე ტანისამოსით რაც ეხლა აცვია. რომ მისი დისწულები თითეულ კაბას ორჯერ სამჯერ მეტად არ ჩაიცვამენ და შემდეგ აძლევენ თავის მასწავლებელს. ჰო! დაუმატა მან, როგორც ჩახვალთ ადგილზე, თუ არა კაბები მრავლად გექნებაო! ჩვენ თუ შევთანხმდებით, მაშინ მე გთხოვთ მზათ იყოთ სამგზავროთ ორი დღის შემდეგ.

გულგრილობა რომლითაც ეგ ბადილოსანი ფულებზე ლაპარაკობდა. მისი მდიდრული მოწყობილობა და ბრილიანტები განსაცვიფრებელ შთაბეჭდილობას ახდენდა ალმაზე და მის მამაზე, რომელნიც თავიანთ ოჯახში მარად განიცდიდენ თვით უსაჭიროეს საგნის ნაკლულევანებას.

— მაშ ეგრე, ნახვამდის, პარასკევამდე. გთხოვთ რვა საათისათვის

ტიონთან ერთად ეცდება თავიდან აიშოროს გენერალური ბრძოლა.

ამ რყევამ გამოიწვია ძლიერი საყვედური ბარკლაისა—ბანგისა. ბაგრატიონი სწერდა რასტოპჩინს: „გრძელდება წინანდელი უნიათობა და გაუბედაობა.“ და ერმოლოვი უფროსი ბარკლაის არმიის გენერალურ შტაბისა ხელმწიფეს სწერდა რომ არ მიენდოთ ჯარი მთავარსარდლისათვის და მოითხოვდა დაენიშნა არმიის მეთაურად პოპულიალური ბელადი.

ამ მძიმე დღეებში სრულიად გამოირკვა და მომწიფდა პლანი ბარკლაისა: არმია უნდა დაფარული ყოფილიყო მტრისაგან მთელი მზვერავთა ძალით, (ეს მძიმე აიერგარდული სამსახური წილად ხვდა ყაზახებს პლატონოვის კამანდრობით) რომელიც სერიოზული ბრძოლას ერიდებოდა. იბრძოდებოდა გენიალური პლანი მხოლოდ მცირე რიცხვისათვის გასაგები და მისაწდომი. პეტერბურგში კი ამავე დროს ბარკლაის მოადგილე მზადდებოდა. საზოგადო აზრი აღშფოთებული იყო, კერძოვდა არმიის მოქმედებას. ურიცხვი შეწირულება, უდიდესი ლაშქარი დაუძლიერესი შეგროვება მეომრებისა, არაფერს არა შველოდა: მტერი თავისუფლად და უწინააღმდეგოთ მოდიოდა შიდა რუსეთში, რომელიც ანგრევდა და იპყრობდა ქვეყანას.

რუსეთი გავდა უბედურს დაფლეთილს გერმანიას. ხალხი უცნაურს მღელვარებას განიცდიდა: ხან პატრიოტიული აღფრთოვანებით ამბავდა ცხენებს და სადღესასწაულო შეხვედრით ბრბო ხვდებოდა ალექსანდრეს ხან კი საყვედურობდა ხელმწიფეზე და მზად იყო დაეგლიჯა იგი. გრაფინია ედლინგი ადამიანი ძრიელ ახლოს მდგარი ალექსანდრესთან ეგრე მოგვითხრობს ამ შემთხვევაზე: „ხელმწიფე უნდა წასულიყო ყაზანის სობოროში სადღესასწაულო წირვაზე, მაგრამ პეტერბურგში ისეთი უკმაყოფილება და აღშფოთება სუფევდა, რომ ალექსანდრემ ვერ გადასწყვიტა ცხენით გავლა და დედოფალის კარეტას გაყვა სობოროამდე. მდუმარე ბრბო დახვდა მას ეკლესიის კარებთან. არასოდეს არ დამავიწყდება, სწერს გრაფინია ედლინგი, ის წუთები როცა ჩვენ ავდიოდით სობოროს კიბეზე სადაც გავედით შუაგულ ბრბოში და საიდანაც ერთი მისალმება არ მოგვსმენია. ჩვენ გვესმოდა ჩვენი ფეხის ნაბიჯი და მე ეშვი არა მაქვს რომ საკმარისი იყო მცირე ოდენი ნაპერწკალი რომ ირგვლივ ყველაფერს ალი მოსდებოდა. მე ვადავხედე ხელმწიფეს და გავიგე თუ რა ხდებოდა მის სულში. მეგონა მუხლები მეკეკებოდა ასეთი უჩვეულო შეხვედრით.

ამ დღეს ყველაფერი კეთილად დასრულდა მაგრამ მაში ხალხის აჯანყებისა ამ დღეებში ერთობ დიდი იყო. საზოგადო აზრი მოითხოვდა კუტუზოვის ბელადობას რომელიც იყო ალექსანდრესათვის არასასიამოვნო პირი. უდიდეს გაჭირვების დროს ეგ პოპულიალური და გამოცდილი გენერალი ალექსანდრეს სურვილისამებრ სრულიად ხრ იყო ჩარეული საქმეში. პეტროგრადის თავად-აზნაურობამ, რომელსაც სურ

და აღენიშნა ეგ უსამართლობა და შეცდომა, აირჩია კუტუზოვი პეტრო გრადის ოპოლჩენიის კომანდირად. და როცა უთანხმოება ბარკლაისა და ბაგრატიონისა შორის თანდათან გაძლიერდა უკმაყოფილო საზოგადოების წინაშე საკითხი ერთი მთავარსარდლის დანიშვნისა გადასჭრით დადგა. და საგანგებო სამხედრო თათბირმა 5 აგვისტოს ერთსულოვნათ დაადგინა: შიენდოს მთელი არმიის უფროსობა და ოპოლჩენიისა კუტუზოვს მიენიჭოს ძლევამოსილმა მხოლოდ მას ერთს და სამხედრო მინისტრის ადგილი გადაეცეს თავად გორჩაკოვს. ალექსანდრე სრულიად არ თანაუგრძნობდა ასეთს დანიშვნას და პირდაპირ განაცხადა: „ხალხს სურს მისი დანიშვნა? მე ვნიშნავ მას. რაც შემეხება მე, ამ შემთხვევაში მე ხელს ვიბან.“ მაგრამ კუტუზოვის დანიშნას მოითხოვდა არა ხალხი“ არამედ რუსეთი, მთელი მცხოვრებნი რომელიც გრძნობდა რომ ის იყო ერთად ერთი ღირსეული მოწინააღმდეგე ნაპოლეონისა.

ტიერი ისტორიკოსი და პოლკოვნიკი ნაპოლეონისა ამბობს, რომ „ყველა გენერლებში ნაპოლეონის თანამედროვეებისა მხოლოდ ფრთხილი და ეშმაკი კუტზოვი იყო ყველაზე საშიშარი მოწინააღმდეგე.

რაში მდგომარეოგდა კუტუზოვის ძალა? როცა მას არმიაში წასვლის წინა დღეს დაეკითხეს

— იმედი გაქვს თუ არა ნაპოლეონის დამარცხების?

— არა, —უპასუხა მან, —მაგრამ რომ მოვატყუებ კი.“ და ბრწყინვალეთ შეასრულა კიდეც მან ეს დაპირება. განა ტყუილა უწოდა მას ნაპოლეონმა სახელად „ბებერი მელა ჩრდილოეთისა“?!

11 აგვისტოს კუტუზოვი გაემგზავრა არმიაში. მას პეტერბურგი გზა გზა ლოცვა კურთხევით აცილებდა, —ის იყო ფარი და იმედი ქვეყნისა.

17 ჩავიდა ცარევო ზაიმიშჩეში მან დაათვალიერა აფიცრები, რომელნიც ირჩევდენ პოზიციას გენერალურ ბრძოლისათვის არმიის ზურგში და უბრძანა მათ დაუყონებლივ დაბრუნებულიყვნენ ჯარში. „როგორ შეიძლება უკან დახევა ასეთი გმირებით,“ ამბობდა კუტუზოვი, როცა ის შეხვდა პირველ რუსის ბატალიონს. „კუტუზოვი ~~ჩ~~ ჩამოვიდა ფრანგების საცემრად“ მაშინვე დაიწყეს ჯარის კაცებმა შედგენა თქმულებისა მაგრამ ის არ შეესაბამებოდა სინამდვილეს: კუტუზოვი სრულიად არ ემზადებოდა ფრანგების ცემას მან მიიღო ბარკლაი დე-ტოლის არა მარტო კომანდირობა აგრეთვე მთელი ომის პლანიც.

უდიდესმა გულთამხილავმა პუშკინმა მშვენიერად დააფასა ბედი ბარკლაი დე-ტოლისა და კუტუზოვის განწყობილება მი'დამი.

Народ тоинственно спасаемый тобою,
Ругался над твоей священой сѣдиною;
И тот, чей острый ум тебя и постигалъ
В угоду им, тебя лукаво порицалъ!

მართლაც კუტუზოვი, რომელიც ხმა მაღლა კიცხავდა ბარკლაის ტაკტიკას მისდევდა მის პლანს კიდევ უფრო მტკიცეთ ვიდრე თვით ავტორი, ის უკანასკნელ უკიდურესობამდე უკან იწევდა, მანამ სანამ როგორც ბარკლაი არ მოემწყვდა საზოგადოებას აღშფოთების კედლებშუა, რომელმაც ის აიძულა მიეცა ბოროდინის ბრძოლა.

არც კუტუზოვის შეხედულეობა და არც პოზიცია მოჟაისკის ახლოხელს არ უწყობდა გენერალურ ბრძოლას მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო: ყველას შეტაკება სწყუროდა და მოელოდა სასწაულს განთავისუფლებისას და მართლაც ბოროდინმა მოიტანა, თუ განთავისუფლება არა დიდი შეღავათი; ის წარმოადგენდა ისეთს გამარჯვებას რომელსაც ეძებდა რუსის ხალხი. ტოლსტოი თავის „ომსა და ზავში“ ერთობ სწორად გვისურათებს ბოროდინის ბრძოლას, როგორც საჭიროებას, რომელიც ვითარდებოდა ადამიანთა სურვილის დამოუკიდებლად და რომელშიაც ისახებოდა ხალხის სული. ბრძოლა მოუმზადებლად, მიუხედავათ ხანგრძლივი უკან დახევისა, საზოგადო პლანის შეუმუშავებლათ, მიუხედავათ ბელადთა ტალანტისა,—ქაოსი სიკვდილისა და სისასტიკისა. და ამ ქაოსში სულიერად დღესასწაულობდა კუტუზოვი, რადგან ნაპოლეონს სურდა დაეპირა ხელმძღვანელობა მაგრამ ვერ შეეძლო, კუტუზოვმა კი მისცა საშუალება თავის არმიას დამტკბარიყო ბრძოლით და ეს სრულად აღსრულდა. ჩვეულებრივი სამხედრო თვალსაზრით ბოროდინის ბრძოლა დამარცხება იყო ჩვენთვის როგორც ამას სწერდა თვით კუტუზოვი: დანაკარგი დიდია, გაცილებით მეტი ვიდრე მტრისა ტყვია წამალი ყველა დაცლილია, პირველი ხაზი პოზიციისა აღებულია და სალა მოსათვის მიცემულია ბრძანება უკან დახევისა, რომ გადავარჩინო „არმიის .დანარჩენი“ აგრე იუწყებოდა კუტუზოვი თავის მოხსენებაში 9 სექტემბერს.

სულიერი გამარჯვება იმაში მდგომარეობდა, რომ ყველამ დაინახა ნაპოლეონის წინააღმდეგობა შესაძლო იყო. თავის ნამდვილ მოხსენებაში კუტუზოვი არ ფარავდა დამარცხებას, მაგრამ არაჩვეევის განკარგულებით ეგ მოხსენება შეცვლილი სახით წარუდგინეს ალექსანდრეს და გამოაქვეყნენ კიდევ უფრო შეცვლილად, რასთვისაც ბოროდინოს ბრძოლა ისტორიაში გადაიქცა არა მარტო ზნეობრივ აგრეთვე სამხედრო გამარჯვებათაც

დაიწყო ხელ ახალი უკან დახევა. ეხლა კუტუზოვს წილად ერგო არა მარტო დაფნის გვირგვინი ბარკლაი დე-ტოლისა აგრეთვე ნარ-ეკლებიც, ისევ მოითხოვდენ ბრძოლას, ისევ საყვედურობდენ მთავარ-სარდლის უმოქმედობაზე, მაგამ თავის შეხედულობაში კუტუზოვი უფრო მტკიცე იყო ვიდრე ბარკლაი და 1 სექტემბრის თათბირში მან გადასწყვიტა დატოვება მოსკოვისა: „მე ვგრძნობ სთქვა მან, რომ გადამახდევინებენ ყველა ამას, მაგრამ მე თავს ვსწირავ სამშობლოს კეთილ დღეობას და ბრძანებასა ვსცემ უკან დახევისას.“

თავის მოხსენებაში ხელმწიფესთან კუტუზოვი ეგრე ასაბუთებდა მოსკოვის უწინააღმდეგოთ დატოვებას: „ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ არმია ერთობ დასუსტებულია და ასეთს მდგომარეობაში ჩვენ მიუახლოვდით მოსკოვს, რომელთაც ბევრი საქმე ვქონდა მტრის ავანგარდთან და ამ ფართო სივრცეზე არ მეგულვოდა პოზიცია, რომელზედაც საიმედოთ შემძლეოდა მიღება მტრისა. ჯარი რომელთანაც მე შეერთებას ვფიქრობდი ჯერ კიდევ არ მოსულა;მტერმა კი ორი ახალი კოლონა გამოუშვა, რომელიც სცდილობს იმოქმედოს მოსკოვიდან ჩემს ზურგში; ამისათვის ვერ გადავსწყვიტე ბრძოლის გაჩაღება, რომელიც შედეგათ მოგვიტანდა არა მარტო არმიის განადგურებას აგრეთვე სისხლის ღვრაში ჩახრჩობას და მოსკოვის ფერფლად ქცევას... მტრის შემოსვლა მოსკოვში კიდევ არ ნიშნავს რუსეთის დამორჩილებას. იმპერატორი მაშინ შევიდა მოსკოვში,როცა ის ცეცხლში პრიალებდა, კუტუზოვმა უკან დასწია თავის ჯარი და გარს შემოახვია ფრანგებს მზვერავნი კავალერისტებისა. კუტუზოვი მომენტს უცდიდა, ქარიშხალი აღშფოთებისა საზოგადოებაში კიდევ უფრო ძლიერდებოდა,—როსტოპჩინი მას ბებერ დედაკაცს ეძახდა, მეჭორეს, რომელმაც დაკარგა თავი და რჩევას იძლეოდა გაებრუნებინათ უკანვე „ეგ ბებერი სულელი და საზიზღარი მეფის მსახური“. „კუტუზოვი,—სწერდა გრაფ პ. ა. ტოლსტოის რასტოპჩინი, ყოვლად საზიზღარი ეგოისტია რომელიც წლოვანებითა და გარყვნილი ცხოვრებით ბავშობაში ჩავარდა და არასფერს არ აკეთებს“.

მიუხედავათ ყველა ბრალდებისა, რომ მთავარსარდალი 18 საათის განმავლობაში დღე და ღამე ძილის მეტს არას აკეთებდა იყვნენ ხალხი რომელთაც ესმოდათ მისი მოქმედება თავისი უმოქმედობით, მაგალითად გენერალი კნორინგი ამბობდა: „მადლობა ღმერთს, რომ მას სძინავს, თითეული მისი უმოქმედება გამარჯვებათ გვიღირს. ის დაათრევს თავის საყვარელს ყაზახის ტანისამოს გადაცმული?—რუმინცევს ასეთი ოთხი დაყავდა. ეს ჩვენი საქმე არ არის.“

ამ დღეებში ისე გაუჭირვეს საქმეს კუტუზოვს როგორც არასოდეს: ის ყოველ ღონით იჭერდა ნაპოლეონს მოსკოვში, ის დასთანხმდა თვით მოლაპარაკებასაც მასთან ოღონდაც კი დრო დაეჭირა.

პეტერბურში კი მას ვერავინ ვერ გებულობდა და ალექსანდრე დაჟინებით მოითხოვდა საჩქარო სამხედრო მოქმედებას. მაგრამ კუტუზოვი მტკიცეთ იდგა თავის გარდაწყვეტილობაზე და დროს უცდიდა. და როდესაც ოკტომბრის პირველ რიცხვებში დიდი არმია მოსკოვიდან დაიძრა ის არც ფიქრობდა გენერალურ ბრძოლის დაწყებას: „ბორადი იყო უბრალოდ საკრობა, ესლა როგორც ეს ~~ბ~~ ~~ბ~~ ~~ბ~~